ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-06/7

06/06/2016 7-01-06-4-201606061417

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2016 წლის 7 ივნისს 12-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 7 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4771 მომართვა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ს.ევგენიძე)

ბ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4774 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №209 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ბრონქული ასთმით დაავადებულთა მედიკამენტოზური პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ნ.თხილაიშვილი)

გ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4773 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №211 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ნ.თხილაიშვილი)

დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4772 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №216 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ნ.თხილაიშვილი)

ე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 11 მაისის N01/3923 მომართვა - ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N279-ის მიმდებარედ 1428,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ავტოსადგომი) საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი ვ.ქარცივაძე)

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის 2016 წლის 17 მარტის N456/02 მომართვა - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩაქვში, აჭარის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2200 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.491) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

ზ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 20 მაისის N01/4211 მომართვა -შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებაში საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

თ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 20 მაისის N01/4212 მომართვა -შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა დაგვაში საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

ი) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 20 მაისის N01/4221 მომართვა -შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

კ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2016 წლის 20 მაისის N01/4223 მომართვა -შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ

ხუცუბანში და სოფელ ნაკაიძეებში საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

ლ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 მაისის N01/4224 მომართვა - შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

მ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 04 მაისის N01/3713 მომართვა ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N388-ში მცხოვრებ -მოქალაქე ფრიდონ მერებაშვილის განცხადების განხილვის შესახებ -შ.ს.ს. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველო – მეორე სამმართველო „ბათუმი"-ს 2016 წლის 23 მაისის N-1253907 მომართვით ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №269-დან N279-ის მიმდებარედ, კერძოდ პირსის მისადგომთან კორიდორის მოწყობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

ნ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 23 მაისის N01/4286 მომართვა -ქ.ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი N114-ში მდებარე კულტურის სახლის პირველ სართულზე მდებარე 61,83 კვ.მ კაფის თვიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი ვ. ქარცივაძე)

ო) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 24 მაისის N01/4361 მომართვა-შპს „ჯორჯიან ბევერიჯ კომპანი"-ს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით გასახდელების განსათავსებლად ქობულეთის სანაპირო ზოლში 30 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოყოფა გასახდელების განსათავსებლად;

(მომხსენებელი რ.მეგრელიძე)

პ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4770 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N201 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმაში" ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ნ.ნიჟარაძე)

ჟ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 ივნისის N01/4775 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N202 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის კულტურის ღონისძიებების გეგმაში" ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ნ.ნიჟარაძე)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა